საიდ. №73996/03

IR 1173637

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №154-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტისა და 2014 წლის 02 დეკემბრის N3-319 წერილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ზე სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ აგ (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ სა) (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ ლტდ)" (The Swatch Group Management Services AG (The Swatch Group Management Services SA) (The Swatch Group Management Services Ltd)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №154-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1891/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „SEDNA“ (საიდ.

№73996/03 IR 1173637) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-14 კლასი).

„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის №1891/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „SEDNA" ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „ომეგა სა (ომეგა აგ) (ომეგა ლტდ.)" (Omega SA (Omega AG) (Omega Ltd.)) სახელზე დაცული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „OMEGA SEDNA" (IR 832082, რეგ. თარიღი: 11/08/2004). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშანი მთლიანად მოიცავს წარმოდგენილი ნიშნის სიტყვიერ ნაწილს, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-14 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ მომხმარებლის მხრიდან არ ექნება ადგილი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული მე-14 კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევას, რადგან განცხადებულ და დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, როგორც ფონეტიკური, ისე ვიზუალური თვალსაზრისით. კერძოდ, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „SEDNA" ერთსიტყვიანია, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „OMEGA SEDNA" ორი სიტყვისაგან შედგება. ამასთან დაპირისპირებულ სასაქონლო

ნიშანში პირველ სიტყვად გამოყენებულია მწარმოებელი კომპანიის დასახელება, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სიტყვა „OMEGA” სწორედ განმასხვავებელი ელემენტის დანიშნულებას ატარებს და მომხმარებელს კონკრეტულ მწარმოებელ კომპანიაზე მიანიშნებს. სააპელაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის „ომეგა სა (ომეგა აგ) (ომეგა ლტდ.)“ (Omega SA (Omega AG) (Omega Ltd.)) მიერ აპელანტის სახელზე გაცემული თანხმობის წერილი განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქართველოში გამოყენებასა და რეგისტრაციაზე. ამავე თანხმობის წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ ორივე კომპანია მიეკუთვნება კომპანიათა გაერთიანებას „ზე სვოჩ გრუპ სა“ (The Swatch Group SA.).

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ომეგა სა (ომეგა აგ) (ომეგა ლტდ.)“ (Omega SA (Omega AG) (Omega Ltd.)) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანხმობას აცხადებს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „SEDNA” (IR 1173637) საქართველოში დაცვა და გამოყენებაზე აპელანტი კომპანიის „ზე სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ აგ (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ სა) (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ ლტდ)” (The Swatch Group Management Services AG (The Swatch Group Management Services SA) (The Swatch Group Management Services Ltd)) სახელზე მე-14 კლასის საქონლის მიმართ. ამავე, თანხმობის წერილში ასევე მითითებულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ომეგა სა (ომეგა აგ) (ომეგა ლტდ.)“ (Omega SA (Omega AG) (Omega Ltd.)) და აპელანტი კომპანია „ზე სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ აგ (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ სა) (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ ლტდ)” (The Swatch Group Management Services AG (The Swatch Group Management Services SA) (The Swatch Group Management Services Ltd))

მიეკუთვნება კომპანიათა საერთო ჯგუფს, კერძოდ კომპანიათა გაერთიანებას „ზე სვოჩ გრუპ სა“ (The Swatch Group SA.). აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ ერთ ჯგუფში შემავალ კომპანიებს, შესაბამისად, აღარ არსებობს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის ერთ ჯგუფში შემავალ კომპანიებს, შესაბამისად, აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ზე სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ აგ (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ სა) (სვოჩ გრუპ მენეჯმენტ სერვისიზ ლტდ)” (The Swatch Group Management Services AG (The Swatch Group Management Services SA) (The Swatch Group Management Services Ltd)) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის №1891/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SEDNA" (საიდ. №73996/03 IR 1173637) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე